1. დააკვირდი საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკას და თავისუფალ ველებში ჩაწერე მათი სახელები და დაცული ტერიტორიების სახეები.

1.	2.	3.	4.	5.
6.	7.	8.	9.	10.
11.	12.	13.	14.	15.
16.	17.	18.	19.	20.
21.	22.	23.		

2. ამოიცანით დაცული ტერიტორია აღწერილობის მიხედვით

2.1. ეს დაცული ტერიტორია მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე სამეგრელოსა და გურიის ტერიტორიაზე. აქ ნაბადისა და ჭურიის ჭარბტენიან ტერიტორიებთან ერთად იცავენ აკვატორიის ნაწილს და პალიასტომის ტბის აუზს. პარკის ტერიტორიაზე დაცვის მთავარი ობიექტებია ყვითელი ყაყაჩურა, ზღვის შროშანი და ჰართვისის მუხა

LIVEWORKSHEETS

2.2. ეს დაცული ტერიტორია საქართველოს უკიდურეს სამხრეთ- აღმოსავლეთ ნაწილში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარეობს. აქ დაცულია არიდული- ნახევარუდაბნოების, მეჩხერი ტყეებისა და ალესილების ლანდშაფტები. აქ გვხვდება საქართველოში ყველაზე შხამიანი გველი გიურზა და ბევრი სხვა ქვეწარმავალი. ნაკრძალის მიზანია ამჟამად ძალზე შემცირებული ნათელი ტყის ფლორისა და ფაუნის იშვიათი წარმომადგენლების დაცვა-შემონახვა.

2.3. ეს დაცული ტერიტორია პირველი იყო საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში. შეიქმნა 1912 წელს პოლონელი ნატურალისტის ლ. მლოკოსიევიჩის ინიციატივით. დაცული ტერიტორიის 72% ტყითაა დაფარული დანარჩენი კი ალპური მდელოებია. მის ტერიტორიაზე მდებარეობს შავი კლდეების ტბა, რომელიც ბუნებრივი საზღვარია რუსეთის ფედერაციასა (დაღესტანს) და საქართველოს შორის

2.4. ეს დაცული ტერიტორია სამხრეთ საქართველოში, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში მდებარეობს მისი ეკოსისტემა გამოირჩევა ტბებით, უნიკალური ჭაობებით, მთის სტეპებით, სუბალპური მაღალბალახეულობით და ალპური მდელოებით, რელიქტური სუბალპური ტყის კორომებით, წყალჭაობის მცენარეულობით და ათეულობით ენდემური სახეობით წარმოადგენს ერთ-ერთ უნიკალურ არეალს კავკასიის ეკორეგიონში. მისი განსაკუთრებული, საერთაშორისო მნიშვნელობა უკავშირდება მაღალი მთის ზეგნებზე და ზღვის დონიდან დიდ სიმაღლეზე ისეთი ჭარბტენიანი ტერიტორიების არსებობას, რაც წარმოადგენს ევროპა – აზია – აფრიკის ფრინველების სამიგრაციო გზაჯვარედინს.

LIVEWORKSHEETS

3. დააკავშირეთ დაცული ტერიტორია და იქ გავრცელებული ცოცხალი ორგანიზმები ერთმანეთთან

საკმლის ხე	უთხოვარი	ძელქვის კორომები	ჯიხვი	კავკასიური როჭო
ქურციკი	ზღვის შროშანი	ჰართვისის მუხა	იულიას ფურისულა	სოსნოვსკის ფიჭვი

LIVEWORKSHEETS